ასლი

სსიპ

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

20.09.2011 N 99

თბილისი

სტუდენტთა მობილობის (მეორე გამოცხადება)
წესით ჩარიცხვის შესახებ

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 თებერვლის N10/ნ „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის დამტკიცების შესახებ“ ბრძანების, „მობილობის პროცესის ადმინისტრირებასთან დაკავშირებული ვადების განსაზღვრის შესახებ“ სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 25 აგვისტოს N662 ბრძანების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2011-2012 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სწავლების საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებზე მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველებმა, რომელთა საგანმანათლებლო დაწესებულებებს გაუუქმდათ ავტორიზაცია ან ინსტიტუციური აკრედიტაცი, სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის პორტალზე რეგისტრაციის შემდეგ (12 – 20 სექტემბრის ჩათვლით www.nea.ge, www.eqe.ge), განცხადება და თანდართული დოკუმენტაცია (დანართი 1) უნდა წარმოადგინონ ტექნიკურ უნივერსიტეტში 2011 წლის 21 სექტემბრიდან 22 სექტემბრის ჩათვლით. საბუთები მიიღება 10^{00} საათიდან 16^{00} საათამდე (თბილისი, კოსტავას 77, ადმინისტრაციული კორპუსი, მე-3 სართული, ოთახი N350);
2. სტუდენტთა მობილობის წესით ჩარიცხვის პროცესების წარმართვა დაევალოს სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს;
3. განცხადებების არსებული წესით რეგისტრაცია დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე.ოხანაშვილს;
4. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, რ.ქუთათელაძე, ზ.წვერაიძე) მოამზადონ მოტივირებული დასკვნები და წარადგინონ

ისინი სწავლების დეპარტამენტში არსებული წესის თანახმად (დანართი 2) არა უგვიანეს 23 სექტემბრისა;

5. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დეკანის ფუნქციის შემსრულებლებმა (ზ.გედენიძე, გ.არაბიძე, ა.აბშილავა, ნ.წერეთელი, ო.გელაშვილი, გ.მიქიაშვილი, ქ.ქუთატელაძე, ზ.წვერაიძე) ამ ბრძანების მე-4 პუნქტის რეალიზაციისათვის სწავლების წლის განსაზღვრის ნაწილში იხელმძღვანელონ დანართი 3-ით;
6. ძალაში დარჩეს სტუ-ს რექტორის 2009 წლის 15 ივლისის N 90 ბრძანება;
7. 2011-2012 სასწავლო წლის პირველი სემესტრიდან სსიპ – საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მობილობის წესით ჩარიცხვის მსურველთა შესახებ ბრძანების პროექტის მომზადება და თანდართული დოკუმენტაციით მისი წარდგენა სსიპ – განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში უზრუნველყოს სწავლების დეპარტამენტმა არა უგვიანეს 2011 წლის 23 სექტემბრისა;
8. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს რექტორის მოადგილეს სწავლების დარგში ლ.კლიმიაშვილს;
9. ბრძანება განთავსდეს სსიპ – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ვებგვერდზე;
10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

რექტორი *ა. ფრანგიშვილი*

ვიზები:

რექტორის მოადგილე სასწავლო დარგში
ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის უფროსი
ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
ზ. მარსურაძე

დანართი 1

მობილობისთვის წარმოსადგენი დოკუმენტაცია:

I. 2011 წლის ეროვნული გამოცდებით ჩარიცხული სტუდენტებისათვის

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ატესტატის ასლი;
3. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის).

II. დანარჩენი სტუდენტებისათვის:

1. პირადობის მოწმობის ასლი;
2. ატესტატის (დიპლომის) ასლი;
3. ეროვნული გამოცდების სერტიფიკატის ასლი;
4. ჩარიცხვის ბრძანების ასლი;
5. სასწავლო ბარათის (ნიშნის ფურცელი) ასლი;
6. სამხედრო მიწერის მოწმობის ასლი (ვაჟებისათვის).

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის

რექტორის მოადგილე _____ ლ. კლიმიაშვილი

სტუდენტის მიერ გავლილი სასწავლო კურსების აკადემიური ცნობის შესახებ

(სტუდენტთა გადმოყვანა-მობილობა)

ინფორმაცია სტუდენტის შესახებ:	
სახელი და გვარი:	
სტუდენტის პირადი ნომერი:	
განათლების საფეხური:	❑ პროფესიული უმაღლესი ❑ ბაკალავრიატი ❑ მაგისტრატურა ❑ დოქტორანტურა

ინფორმაცია გამომშვები უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების (უსდ) შესახებ:	
გამომშვები უსდ-ს დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	
გამომშვებ უსდ-ში სტუდენტის საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის ბრძანების ნომერი და თარიღი:	

ინფორმაცია მიმღები ფაკულტეტის შესახებ:	
მიმღები ფაკულტეტის დასახელება:	
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება:	

სტუდენტის მიერ დაგროვილი კრედიტების ანალიზი:

საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით სტუდენტის მიერ გამომშვებ უსდ-ში შესწავლილი საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,		შეფასება	სტუ-ში საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით საგნების ჩამონათვალი (სემესტრების მითითებით)	სასწავლო კურსის მოცულობა,	
	ECTS კრედიტი	აკადემიური საათი			ECTS კრედიტი	აკადემიური საათი

გავლილი საგანმანათლებლო პროგრამის თავსებადობის შესახებ:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში შესწავლილი საგნების რაოდენობა:	
სტუდენტის მიერ გამომშვები უსდ-ში დაგროვილი კრედიტების რაოდენობა:	

მათ შორის სტუ -ს მიერ აღიარებული საგნების რაოდენობა:	
მათ შორის სტუ-ს მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა:	

დასკვნა:

❑ რეკომენდირებულია გადმოყვანა ❑ გადმოყვანა არ არის რეკომენდირებული

შენიშვნა

ფაკულტეტზე ჩარიცხვის შემდეგ ასათვისებელი საგნების რაოდენობა:	

ასათვისებელი საგნების ჩამონათვალი

№	საგნის დასახელება	ECTS კრედიტი

სულ ასათვისებელი კრედიტების რაოდენობა:

სტუ-ს სწავლების დეპარტამენტის უფროსი:

ხელმოწერა

ფაკულტეტის დეკანი:

ხელმოწერა

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი:

ხელმოწერა

აკადემიური დეპარტამენტის უფროსი:

ხელმოწერა

დანართი 3

სტუ–ს შესაბამისი ფაკულტეტების მიერ აღიარებული კრედიტების რაოდენობა	სწავლების წელი (სემესტრი)
საბაკალავრო პროგრამებისათვის	
0–დან 25-მდე 25-დან 90-მდე 90-დან 165-მდე 165–დან	პირველი (პირველი სემესტრი) მეორე (მესამე სემესტრი) მესამე (მეხუთე სემესტრი) მეოთხე (მეშვიდე სემესტრი)
სამაგისტრო პროგრამებისათვის	
0–დან 45-მდე 45-დან	პირველი (პირველი სემესტრი) მეორე (მესამე სემესტრი)